F 75
1922

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპალოვლი

1922 წ. იანვარი, თებერვალი № № 1, 2.
სახელმწიფო გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წელიწადი მე-XVII № 1, 2. იანვარი, თებერვალი 1922 წ.

ახალი წელიწადი.

საქართველოს საბჭოთა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

1. სურათი—ახალი წელიწადი 1
2. ახალი წელიწადი,—ლექსი ი. სიხარულიძისა 3
3. მაშინ ვნახავ ვინ დამიშლის,—მიმქრალისა 4
4. მზე,—სომხურით თარგ. ტ. ფირუმიანისა 9
5. ლია და ია—ლექსი გ. ჭუჩიშვილისა 12
6. მგელი და ძაღლი,—(ხალხური იგავი) დ. ნახუცრიშვილისა . . 13
7. ციყვი,—ივ. ელიაშვილისა 14
8. მურზილკას თავგადასავალი,—(შემდეგი) თარგ. ნ. დიასამიძისა . 20
9. დღესასწაული საბავშვო სახლებში—ბავშვების მეგობარისა . . 28
10. გასართობი 31

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი.

ახალი წელი: ნორჩი, ჰაწია,
თეთრი, ფუნჩულა, სახე მღიმარი,
აკვანი დროთა სვლამ დაურწია,
გვეწვია ტურფა, ნაზი სტუმარი!
იშვა, თუ არა, წამს შემოგვცინა,
და არც გვაშორებს მომღიმარ თვალებს;
იმედის შუქი ყველას მოგვფინა,
რას არ გვპირდება, რას არ ივალებს!
ჰაწიას ზამთრის არ ეშინია,
არც მისი სუსხის, არც მის მუჭრის,
ქვეყნის გარდაქმნა დაუყენია,
ჩვენც გვასარებს და, მასაც უხარია.
სურს ძველი წელი, მტანჯავი, მწველი,
არვის ახსოვდეს გულის გამგმირი,
გვალალებს, გვალხენს, იმედის სხივს გვფენს
სიცოცხლით სავსე, ჰაწია გმირი.

ილ. სიხარულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ არვინ არ დამიშლის...

დილა-ადრიან მოფრინდებიან ჩემი სტუმრები და თოვლით მოფენილ აივანზე შემოსხდებიან.

ჭიკჭიკობენ და მიცდიან.

როცა გავახელ თვალს, ჰირველად სასთუმალთან მიკრულ ჩიტუნიების სურათს შევხედავ. ეს მე დავხატე სურათი მომაგონებს, რომ კარედ მიცდიან მშიერი სტუმრები.

სწრაფად წამოვიჭრები ლოგინიდან, გადავწევ ფანჯარაზე ფარდას და მხიარულად მიესალმები ჩიტუნებს;

— გამარჯობა, ჩემი სტუმრებო, როგორა ხართ? ხომ არ გცივათ?

ნიშნად სიხარულისა დასჭეიკლებენ ჩიტუნიები, შეიფრთხიალებენ, აფრინდებიან და ისევ შემოსხდებიან მოაჯირზე. ზოგი ნაძვის ტოტზე შესკუნდება.

აივანი ათეთრებულია. თეთრად ბრწყინავენ ქუჩები, სახლის სახურავები, ჩემი ნაძვის ხეც თეთრად მოკაზმულა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოჩორზე თეთრი ლეჩაქი დაუხურავს და თოკლით შეკოწიწებული ქული მკლავები ტეის დედოფალივით აუშლია ცისკენ.

ვიმ, რა ლამაზია გარეთ ყველაფერი: თეთრი ეზო, თეთრი ხე, თეთრი ქუჩები... ყველგან სითეთრე ბრწყინავს.

შორიდან მოისმის ბავშვების ჟრიამული, ალბათ გუნდაობენ. ჩქარა ჩავიცვამ, მივდივარ კარებთან, მაგრამ დედა დამეწევა და არ მიშვებს.

— გარედ ცუდი ამინდია, გაცივდებიო...—მეუბნება.

— აბა რა არის ცუდი?.. ბუმბულა ფანტელები ისე მოცეკვობენ, მოიჩქარიან ზეციდან, თითქოს მე დაჭვატიქმ იხინი. აბა რა არის ცუდი?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიცივეა...

— დედიკო, გამიშვი, გენაცვალები. გარედ მშიერი ჩიტუნები მიცდიან. გუშინ მათთვის დავამზადე საკენკი.

— მაშ მოიხვიე თავზე და ჩქარა შემოდი.

— ახლავე, ჩემო კარგო დედა.

გახარებული ვშლი ქალალდის სუფრას და მიმაქვს.

— მობრძანდით, ჩემო სტუმრებო, მიირთვით... აქ ეველაფერია: ფეტვი, ხორბალი, ღომის მარცვალი, პურის ნამცეცებიც არის... მობრძანდით, რალას უცდით!..

ისინი სულ ნაძვის ტოტებზე სტიან და იქიდან უთვალთვალებენ.

— ოო, რა ავები ხართ!..

მეც გავებუტე და დავბრუნდი ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუმათ მივდივარ ფანჯარასთან.

— აა, თქვე ეშმაკებო!!.

ისე მიესევიან საკერკს, რომ ერთმანეთს ეცილებიან — აბა რომელმა მეტი შესჭამოს. ხარბებო... გაუმაძღრებო... რო-გორ მინდა მეც გავერიო ჩიტუნებში.

— გამიშვი დედა! — დავიყვირე.

დედა გამიჯავრდა ჯიუტობისათვის, მერე მომეალერსა.

— დაწყნარდი შვილო, ჯერ პატარა ხარ: გაიზრდები და...

— მერე თავისუფლად ვირბენ?

— ჰო, აგრე იქნება...

— გივის ხელა რომ ვიქნები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდივარ ისევ ფანჯარასთან იმ იმედით, რომ გავიზრდები და თავისუფლად ვირბენ

მაგრამ... ახლა ჩიტუნებო,
რა რიგ მინდა თქვენთან ფრენა!
დამაცადეთ, ლამაზებო,
გავიზრდები გივის ხელა,
—მაშინ არვინ არ დამიშლის
გუნდაობას, თქვენთან ლხენას.
ჯერ იმედით გავზრდი სურვილს,
ვაშა ფიქრთა აღმაფრენას.

მიმკრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე

ესმით, ბატონებო, შეჩერდით ცოტახანს, მინდა გიამბოთ ეველაფერი თავიდან ბოლომდე! არ გინდათ? მაშ კარგი, ეკავილებსა და ბალახებს ვუამბობ ეველაფერს.

—მშვენიერო ეაეახოებო, აბა ეური დაუგდეთ მზის მოთხრობას:

—ჩემი ქალი ავად იეო. იცით, ისიც თქვენსავით ტურფა ეკავილი იეო, თეთრი ჰირისახისა, ბრწეინვალე ოქროს თმიანი...!

ექიმი ქვეეით ჩამოვიდა, ჩვენ ბინაში. იგი დაღვრემილი იეო. რათა? ჰო, მახსოვს: არ უეკარდა ქვედა სართულები. უნდოდა გაქცეულიეო ქვედა სართულებიდან. იგი ჩამოვიდა ქვემოდ, შეხედა ჩემ ქალს, შეხედა ოთახის კედლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნოტიოა,—სთქვა,—ბინა უნდა გამოიცვალოთ, მზიანი ოთახი უნდა იშოვოთ. რამდენი ემაწვილი გყავთ?—მკითხა

— სამი გვყავდა. დაიხოცნენ და ეს ერთიღა შეგვრჩა. დაიხსენით ჩვენი ქალი, იგი ჩვენი სახლის სულია..

რალაც წამალი დასწერა და მწუხარე სახით წავიდა.

— მამა, რა დასწერა ექიმმა?—მკითხა ჩემმა ქალმა.

— მზე დასწერა, ჩემო კარგო, მზე დასწერა, რომ შენზე იბრწყინოს და კარგათ გახდე...

და წავედი მზის საძებნელად, წავედი შორს, ძალიან შორს და ბოლოს ვიპოვე მზიანი ბინა.

საყვარელო ყაყაჩოებო, მზის შვილებო, განა უმჯობესი არ იქნებოდა, თქვენთან მომეყვანა ჩემი ოქროსთმიანი ქალი?! მაგრამ, ჰო, ვიცი, თქვენ ჰურს არ მოგვცემდით, არ შეგეძლოთ ლუსიკასთვის ჰური მიგეცათ... ეური მიგდეთ, ჯერ არ დამისრულებია.

მეორე დღეს ლუსიკა მზის სახლში უნდა წამეყვანა, მაგრამ როცა გათენდა, დამიძახა, ხელი დამიჭირა და თვალები დახუჭა.. მერე ხალხი მოვიდა და წაიყვანეს. ჩვენ არ ვუშვებდით, მაგრამ მაინც წაიყვანეს დასამარხად. და როცა ოქროსთმიანი ქალი მოგვშორდა, ჩვენი სახლის სულიც იმასთან წავიდა... ჩვენ ყველანი დავიწვით ტირილისაგან, მე—კი მზის ავადმყოფი გავხდი: მივდიოდი, ვჯდებოდი იმის საფლავზე და ვუცდიდი მზის ამოსვლას, და ყოველთვის ვხედავდი ლუსიკას მზესთან გადახვეულს. მისი თმები მზეზე იყო გადაფენილი.

როცა ჩემს დედასა და ცოლს ვუამბე ეს. არ დამიჯერეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ეგონათ ჭკუაზე შევცდი, გოდებდნენ გაწითლებული და მშრალი თვალებით.

მაგრამ ერთ დღეს მე თითონ ავედი მზესთან.

— ღონიერო მზევ!—უთხარი მე,—ერთი დიდი საჩივარი მაქვს შენზე: რატომ არ გაიმეტე ჩემი ქალისთვის ერთი სხივი მაინც? რად მოჭკალი ჩემი ლუსიკა?

შეწუხდა და დაბნელდა ვზე.

— წადი,—მითხრა მან,—წადი, უამბე ქვეყანას, რომ ზემო სართულმა დაიჩემა მზის სხივები, ჩრდილი გადააფინა ქვემო სართულს და მოჭკლა ოქროსთმიანი ქალი...

ტ. ფირუმიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ი ა. *)

ვალ-ჭეშეუნა კოხტა ქალო,
ია ვ, გენაცვლები,
სად არიან სხვა ეკავილნი,
შენი დობილები?

ი ა.

მოვლენ, მოვლენ, ჩემო კარგო,
მოვლენ მალე სხვებიც;
მახარობლად გამოგვგზავნეს
ეს და ენძელები.

ლ ი ა.

გმადლობთ, გმადლობთ, საყვარლებო,
კოხწია ქალებო;
გაზაფხულის შიკრიკებო,
ია—ენძელებო!

გ. ჭურიშვილი.

*) ლია—ბოგანის სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი და ძაღლები.

(ხალხური იგავი).

ბელი სოფელში საშოვრისთვის მევარდა დაღამებულზე. მან დაედგა სამი ძაღლი: მეცხვარისა, მეძროხისა და მჭედლისა.

სდიეს, სოფლის განაპირას დაეწივნენ, დაიჭირეს და დაუწყეს წეწვა-ბლეჯა.

მაშინ მგელმა ძაღლებს სთხოვა:

— გთხოვთ ერთი სიტყვა მაინც მათქმევინოთ,—ხომ ვხედავ, ჩემი აღსასრულის ჟამი მოახლოებულიაო..

— სთქვიო,—ნება დართეს ძაღლებმა.

მგელმა ცოტა გული მოიბრუნა და დაიწყო:

— მეცხვარის ძაღლო, შენ მტრობას მემართლები, რადგანაც თქვენი ფარიდან ბევრი მსუქანი ცხვარი მომიტაცნია და შემიჭამია...

— მეძროხის ძაღლო, შენც მემართლები, რადგანაც არა ერთი ხბო და ათქვირებული ძროხა მიმსხვერპლია...

— მაგრამ შენ, მჭედლის ძაღლო, რას მემართლები? თქვენს სამჭედლოდან ჩაქუჩი მოვიტაცე, მარწუხი თუ გრდემლი, რომ მემტერები? შენ კი უსამართლოდ მექცევი და არც სიკვდილი მეკუთვნის შენგანო...

ძაღლებს მოეწონათ მგლის წრფელი სიტყვა.

,,რაკი მგელმაც მართალი სთქვა, შეწყალება ეკუთვნისო'' — სთქვეს და გაუშვეს უვნებლად.

დ. ნახუცრიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციეგი.

ციეგი არის მღირღნავი ცხოველი. როგორც ეველა ამ ჯურის ცხოველი, იგი ფრიად მავნეა სოფლის მეურნეობისათვის. ის დიდი მტერია უმთავრესად შემოსული კაკლისა, რომელსაც უპირველეს ეოვლისა მოაშორებს ხოლმე თავის ბასრი კბილებით წენგოს, გაასუფთავებს და შემდეგ, გამოხრავს თუ არა ჰატარა სარკმელს, ისე სუფთად ამოსჯაბს გულს, რომ გეგონებათ, რაღაც მანქანით გამოუწმენდიათო. ციეგს მწიფე ხილიც უეეარს. არც ჩიტის კვერცხსა და ბარტეზე იტეეის უარს, თუ სადმე წააწყდა. ისეთი ჩასაკნატუნებელი რამ, როგორიც არის თხილი, წაბლი, ფიჯვისა და ნაძვის ნაეოფი, ხომ კარგია და კარგი.

ციეგი აიღებს ხოლმე წინაფეხებით თვის საზრდოს, დაეუედება უკანა ფეხებზე და, როგორც თრითინა, დაუწეებს თავისი ბასრი წინა კბილებით ღრღნას, თუ აქვე უნდა მისი შესანსვლა, თუ არა და გააქანებს ბუდის ან სოროსაკენ და იქ შეინახავს მარაგად.

მომარაგება კი მისთვის ფრიად საჭიროა და აუცილებელი, რადგან, გათავდება თუ არა რთველი, ციეგი მშრალ-

ზე რჩება ხოლმე და, თუ არა მომარაგებული საკვები, შაშ-
ბილით სიკვდილი მოელის.

ერთი კია, აცივდება თუ არა, ციცვი შეძვრება თავის
სოროში და მიეგდება ძილად, რათა მთელი ზამთარი ძილში
გაატაროს. ამისათვის მას სჭირია მეუდრო ბუდე, რომელ-
საც იგი იკეთებს ან მიწაში, ან მიტოვებულ შენობის ნან-
გრევებში, ან ბებერი ხის ფუღუროში, ან მაჩვისა და მუ-
დუს (თხუნელას) მზა-მზარეულს, ან თავის მიერ გაკეთებულს
სოროში. შეძვრებიან შიგ ციცვები, მოიკუმშებიან ბურთი-
ვით ერთი-მეორის გვერდით და ტკბილად იძინებენ. ხოლო,
გათბება თუ არა ჰავა ციცვები იღვიძებენ და ზამთრის შიმ-
შილით კუჭაძწვარნი ეძგერებიან ხოლმე მომარაგებულ საზრ-
დოს, ვიდრე მინდვრად გავიდოდნენ და იქ რასმე მოიპო-
ვებდნენ.

ძალიან სახიფათოა ციცვისათვის უდროოდ გაღვიძება
ზამთრის ძილის შემდეგ. ნამეტურ თუ ციცვებს მომარაგებუ-
ლი არა აქვთ საკმარისი საზრდო. ასეთს შემთხვევაში, ადრე
გაღვიძებული ციცვი სტაცებს ხელს მძინარე მეორე ციცვს
და შესანსლავს.

სხვა დროსა და გარემოებაში ციცვი მშვიდი და წენარი
ცხოველია. ისეთის სათნოებით აღსავსეა მისი წაბლისფერი
თვალები, რომ მნახველი მისდამი სიმპატიით იმსჭვალება
ხოლმე, მიუხედავად მისი ინავრობისა და მავნებლობისა.

დღესაც თვალწინ მიდგა 6—7 წლის ამბავი, რომელ-
საც აქვე მოგითხრობთ.

შუა ზაფხულის ნაშუადამევია. სოფელ სიდისოვის (გო-
რის მაზრაში) ჩემს ჰატარა მამულში ვიმეორებ დღის შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით დაღალული, აუშფოთველ ძილში ვიყავი, როცა, რაღაც ხმაურობა შემომესმა. გავიღვიძე, ასანთი გავკარი და სანთელი ავანთე. წიგნების შკაფსა და კედლის შუა რაღაც გაუგებარი ხმაურობა, ფხაჭვის ხმა მოდის. ავიღე შანდალი და მივდივარ იმ ადგილისაკენ. ვხედავ, რაღაც ცხოველი ზურგით კედელს მიერდნობია და ფრჩხილებით ფიცარსა ფხაჭნის. სინათლისა და ჩემს დანახვაზედაც განაგრძობს თვის მოქმედებას. შეშინება ჩემის ახმაურებით არ მოქმედობს, ვიღებ ჯოხს და დაუპირებ დაკვრას. ცხოველი გარბის, შევარდება შკაფქვეშ, ლოგინქვეშ. მეც თან მივდევ და ვუპირებ ჯოხის დაკვრას. არ მნებდება, ვიდრე ჩემს საზაფხულო საბანში არ გაეხვევა და ჩემის ჯოხის დაკვრის შემდეგ პირქვე არ დაეცემა. ვირთხა მგონია, ხოლო კუდი მაკვირვებს. ვირთხას კუდზე მოკლე ბეწვი ასხია და კუდიც წვრილი აქვს. ამას კი კუდიც გრძელი აქვს და ბეწვიც გრძელი. გარეგნობითაც ეს ცხოველი მეტად ლამაზია. წაბლისფერ ლამაზ თვალებს უმშვენებს შემოხაზული შავი ზოლი, რომელიც ორსავე მხრით ეურებამდე მიდის. ბეწვი ზურგზე მორუხ-მოწითანო აქვს, გრძელი, სუფთა, მუცელზე თეთრი. კუდის ბეწვი უფრო მუქი ფერისაა და ბოლოში შავი წინწკლები აერია. ულვაშებიც შავი ასხია. ეური ხორცის ფერი აქვს, მომცრო. ფეხები ზომიერი და ბჭეალებიანი; წინა ფეხებზე ოთხი თათი აბია, უკანაზე ხუთი. რა ჭქნა, ვერა ვცნობ. ამოტოლა კაცი გავმხდარვარ, ცხოველების ცხოვრების მოეკარულიც ვარ და ეს კი ვერ გამოვიცან. არასოდეს მინახავს და რით უნდა გამომეცნო? მართალია, ჩემის სახლის გვერდით რომ დიდი კაკლის ხეებია, მაისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით და ზაფხულშიაც ხშირად შემესმა რაღაც ხმაურობა—სისინი და შხუილი, მაგრამ ეს ხმაურობა მუდამ ღამით ისმოდა და არ ვიცოდი, რა ცხოველის ხმა იყო. გლეხები ამბობდნენ, თრითინა არისო და მეც მჯეროდა. შესვლით ვერას ვხედავდი, მაგრამ შტოდან შტოზე რომ რაღაც დასტოდა და ხმაურობდა,—ეს კი აშკარა იყო.

— ოო,—გავიფიქრე გუნებაში,—ეს ის კაკლის მტერი უნდა იყოს, მუდამ რომ ხმაურობს ღამითა მეფქი, დავდე მაგიდაზე ჩემი ეზიალი და დავიძინე.

სოფელში დილა ადრე ვდგებით ხოლმე. ავიკნაზედ რომ გავედი, ჩემ ძმა საძინები უკვე იქ იყო.

— რად მოგიკლავს, კაცო, ეს საცოდავი ციცვი, რად არ შეინარჩენ?—მოძმართა ჩვეულებრივის გულკეთილობით ჩემმა ძმამ.

— ციცვი?—წამოიძახა გაკვირვებით და მეტის ცნობისმოყვარეობით დაუწყე თვალიერება ჩემ მსხვერპლს.

მართლა ლამაზი ცხოველია, რომ ასეთი მაკნე არ იყოს.

— იცი, რა გითხრა: შენ ბაღში რომ ამდენი კაკლის ხე, იცი თუ არა, რომ მათ აღმოცენებაში, ხვათა შორის, ციცვსაც წილი უძევს?—მოძმართა საძინაა.

— როგორ?

— როგორ და ისე, რომ ციცვი ხშირად საზამთროდ შემვრება ხოლმე თხუნელას (მუდუს) სოროში და იქ მოიმარაგებს საზამთრო საზრდოს. როგორც ვიცით, უჭირველეს ოვლისა ამ მარაგში კაკალია და ვიდრე ეს კაკალი შეიჭმება, გაბოხიერებულ ნიადაგში იგი აღმოცენდება კიდეც და კაკლის ხედ იქცევა ხოლმე. აი, ამ შხრივ ციცვი და გვარნი

მისნი სასარგებლონი არიან და რომ ჩიტის კვერცხებისა და ბარტყების შეჭმა არა, მაინც, და მაინც რა [illegible] აქვს ამ საცოდავსა და ლამაზ ცხოველს?

— ეჰ, შენი გულკეთილობა, თორემ ბრალიც დიდი აქვს ციყვსა და დანაშაულობაც. თუნდ ერთი კაკლის ზიანი იანგარიშე, ხილსაც თავი რომ დავანებოთ, მარტო ესეც საკმარისია მაგათი გვარისა და ჯილაგის მოსასპობად.

— მაშ კარგი, და ვნახოთ, რა საშვალებითა და ხერხით შეგიძლია მაგის განადგურება!

მართლაც და ციყვის განადგურება ფრიად ძნელია. თუ საგანგებო საკან-მახე არა, ვერას მოისაზრებს კაცი მის დასაჭერად და ისიც ძნელი მოსაგვარებელია.

ციყვს ხომ ერთი რამ მიჩნეული ადგილი არა აქვს ხოლმე საცხოვრებლად. იგი ხის ფუღურეშიაც ლამაზად თავსდება ისევე, როგორც სოროში, ძველი ქვიტკირის შენობის კედელში, მიტოვებული სახლის ბუხარში და სხვა. ამ გვარ ადგილებში. წადი და სდიე!

ზაფხულის განმავლობაში დედალი ციყვი ორჯელ მოიშვილოსნებს ხოლმე და თვითო შვილოსნობაზე ოთხსა და ხუთ ტიტველა, ბრმა კნუტს დაჭერის ხოლმე და ამრიგად ამრავლებს თვის ჯიშს. ერთი ახირებული თვისება აქვს, ამ სხვა შემთხვევებში, სუფთა ცხოველს: კნუტების ეოლის დროს ფრიად დიდი სიბინძურე იცის ხოლმე.

ისეთი მერალი სუნია ბუდეში გავრცელებული, რომ გამოცდილი ადამიანი შორიდან დაიცემს სუნსა და მიხვდება, რომ მის სიახლოვეს ციყვის ბუდე უნდა იყოს. ეს თვისება ალბად უზრუნველეოფილია მტერთაგან ციყვის ბუდის ხელუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლობისა. როგორც ვიცით, ციყვს ნაკლებად აქვს მოსა-
გერებელი იარაღი, ერთად-ერთი მისი იარაღია კბილები და
ისიც მხოლოდ სასრავად თუ გარგა, თორემ საკბენად უვარ-
გისია. შესაძლებელია, რომ ციყვი განზრახ სჩადის ამ სი-
ბინძურეს, რათა მიუკარებელი შექმნას თვისი ბუდე მტრები-
სათვის. ესეც ერთი მოსერხებული საშუალებაა არსებობისა-
თვის ბრძოლის წარმოებისა. მტერიც დიდძალი ჰყავს ციყვს
და, რომ ეს არა, ცუდი დღე დაადგებოდა სოფლის მეურ-
ნეობას, მით უმეტეს, რომ ციყვი ფრიად გავრცელებულია
საქართველოს მიდამოზე. ციყვის მტერთა შორის აღსანიშ-
ნავია: ბუ, ყვავი, კვერნა, რომელნიც, მიაგნებენ თუ არა
ციყვის ბუდეს, შესანსლავენ ხოლმე მის კნუტებს. უცხოეთ-
ში ციყვის ხორცსა სჭამენ კიდეც და ქურქსაც იყენებენ.
ჩვენში არც ერთი და არც მეორე არვის არაფრად ეპრიანება.

ივანე ელიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქი ვენა, ზოოლოგიური ბაღი და მურზილკას ოინები.

როცა ჯუჯებმა საკმაოდ იმხიარულეს და არივ-დარიეს ველაფერი, წავიდნენ ბაღში დასაძინებლად. დაწოლის წინ მათ მთელი თავისი ბარგი ჩალაგეს, რადგან უნდოდათ განთიადისას დაეტოვებინათ ბერლინი და გაეგრძელებინათ მგზავრობა. ისინი მიეწვენ ჰირველ საკვე დილის მატარებელში, რომელიც მიდიოდა ბერლინიდან ვენაში.

მატარებლით ცოტა ხანი მიდიოდა და ჯუჯებს შეეძლოთ თავისუფლად მოთავსებულიყვნენ ჰირველი კლასის

ვა ონებში. მურზილკამ აირჩია ადგილი სწორედ სარკის წინ—რომელიც კედელზე ეკიდა. მას სურდა დამტკბარიყო თავისი სახის ცქერით; მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენი ჯუჯებიც დასცინოდნენ და აქეზებდნენ, მშვიდად მიიდგნენ ჯუჯები ქალაქ ვენაში, ავსტრიის დედა ქალაქში, და ჰირდაჰირ სადგურიდან შეუდგნენ ქალაქის დათვალიერებას.

ვენა—ლამაზი ქალაქია—ვენაში ბევრია მშვენიერი სახლები, სასახლეები და დიდი მაღაზიები.

ნამცეცებს ვენა ძრიელ მოეწონათ, განსაკუთრებით მურზილკას, რომელიც ქალაქის სანახაობამ ძალიან გაიტაცა.

ოჰ! რა მაღაზიებია, რა სახლები, რა მშვენიერებაა! აქ უფრო კარგად იცვამენ, ვიდრე ჰარაზეში'—ამბობდა ის და თან ეოფილ წუთს ჩერდებოდა; მაგრამ მურზილკას აღტაცება მის ძმებს სრულიადაც არ აინტერესებდა; სამაგიეროდ ისინი ძრიელ დაინტერესა ქუჩის კუთხეზე, განცხადებამ, რომელზედაც დახატული იყვნენ: ლომები, ვეფხვები და მგლები.

— ექიმო!—მიმართეს ყველამ მაზპერემაზს:—გვიხსენით, რა არის დაბეჭდილი ამ განცხადებაზე?—ექიმმა აუხსნა: განცხადებაში ნათქვამია, რომ დღეს ზოოლოგიურ ბაღში აჩვენებენ აფრიკიდან ახლად—მოყვანილ გარეულ ცხოველებს და ურჩია ძმებს წასულიყვნენ ბაღში. ისინი რასაკვირველია დახთნხმდნენ. მურზილკაც გაედევნა სხვებს, თუმცა კი ძთელი გზა ჩხუბობდა და ბურტყუნებდა: ბეჯრად უფრო საინტერესო იქნებოდა მთავარ ქუჩებზე წასვლა, სადაც კარგ ტანსაცმელს ვნ ხავდითო. მურზილკას აზრით, გარეულ მხეცებზე უფრო საინტერესოა კარგი კაბა. ტეუილად კი არ დაარქვეს მას „უტეინო თავ.“.

ჯუჯები მივიდნენ ზოოლოგიურ ბაღში. გვიან საღამოს, როდესაც სტუმრები უკვე აღარ იყვნენ და ნადირები ეველანი დახურულ ფანჩატურებში ისხდნენ. ჯუჯები გაძვრნენ პირველ ფანჩატურში, სადაც ეოველგვარი მაიმუნები იყვნენ.

— სა-სა-სა, რა მახინჯები არიან!—ხითხითებდნენ ჯუჯები, როცა მაიმუნების მანჭვა-გრეხას უყურებდნენ.

— ხი-ხი-ხი!—იცინოდნენ მაიმუნები, თან ჯუჯებს უყურებდნენ.

როცა საკმაოდ იხუმრეს და დასცინეს მაიმუნებს, გადავიდნენ ზოოლოგიური ბაღის შემდეგ განყოფილებაში, სადაც გველებს ინახავდნენ. გველები ის იყო ჭამას მორჩნენ და გაუნძრევლათ იწვნენ; მაგრამ ჯუჯებმა, განსაკუთრებით კი თვალ-

ჭეტიამ და სწრაფიამ მათთან ახლოს მისვლა ვერ გაბედეს.

—არა, ბატონებო თქვენ როგორც გსურდეთ, ჩვენ კი ახლოს ვერ მივეკარებით,—ამბობდნენ ისინი:—იქნება ეს გვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები შხამიანებია; გვიკბენს რომელიმე მათგანი, და მაშინ... მშვიდობით სიცოცხლეს!

ექიმმა მაზვერემაზმა დაამშვიდა მშიშარები და აუხსნა: როცა გველი მაძღარია, თავის შხამს ჭკარგავს და საშიში აღარ არისო. გარდა ამისა გააცნო ჯუჯებს, რომ ფრაკის ჯიბეში აქვს მშვენიერი, ალისაგან ნაჩუქარი ყვავილი, რომლის საშუალებით ჯუჯებს შეუძლიათ უჩინრად გადაიქცნენ და მათ გველები ვერაფერს დაეკლებენ.

ჯუჯები დაკმაყოფილდნენ ამ ახსნით; მა

გაკეთებას; ერთი სიტყვით— ჯუჯები გულწრფელად ძლიერულობდნენ.

მერზილკა არ იღებდა მონაწილეობას საერთო მხიარულებაში. ხელები ჯიბეებში ედო, განზე იდგა და უყურებდა, თუ რას აკეთებდნენ სხვები, თითონ კი შიშით გველს ხელს არ აკარებდა.

—გეფოფათ გველებთან თამაში, იმეორებდა ის,—წავიდეთ აქ დან ტუჩაში: იქ ბევრად უფრო საინტერესოა.

—არა, მერზილკა, ბილიდან ასე ჩქარა არ წავალთ—უპასუხა ჭაბაწყერამ:—ეი აქვე კუები არიან, ისინი უნდა უთუოდ ვნახოთ.

ვერ მოასწრო ჭაბაწყერამ სიტყვის დათავება, რომ ჯუჯებმა დაანებეს თავი გელებს და შემოეხვიენ გარს.

— კუები? სად არიან კუები? ჩქარა მაითან წაგვიყვანე.

— მობძანდით, ეი აქვე არიან.

ჯუჯები სწრაფად შეეკვიენ შენდეგ განეოფილებაში.

მერზილკაც გაბეზღული შეჰყვა მათ.

ბატაკზე იწვა უშველებელი კუ.

— ოჰ. კუ, გამარჯობა,—დაიყვირეს ჯუჯებმა და ზურგზე შეაცოცდნენ.

—აბა, ჩქარა, ჩქარა! ასე ჩვენ ხვალამდისაც ვერ დავიძვრებით ალაგიდან,—აჩქარებდა კუს დოინჯშემოერილი თვალჩინოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცადეთ, მოიცადეთ! — ეკითხება მურზილკა. — ეფიქრა: რობდა: კუ გაიქცევა, და ვეღარ დაეწევითო. — მოშეკვეთ ხელი მეც მინდა კუზე შევჯდე და გავისეირნო.

ჯუჯების მეკობრეული დასხარებით მურზილკა აცოცდა კუს ზურგზე, რომელიც ადგილიდან არ იძრობდა.

— ეს რა გასაკვირია, — შესძახა მურზილკამ: — სულ ხვალ ლომის ან ვეფხვის ზურგზე შეჯდომა და გასეირნება.

— მურზილკა, მარიალს ამბობს — შესძახეს ხვებმა და ჯუჯად გაიქცნენ მტაცებელ ცხოველებისკენ. შეიდნენ თუ არა ჯუჯები იმ განფიფილებაში, სადაც მხეცები იყვნენ, ეოთვალ მხრიდან გაისმა საშიში ღრიალი და ყვირილი, და ალმოდის მეკიდ მეორე მხეცები წამოვარდნენ და დაიწყეს წინ და უკან სირბილი.

როცა მურზილკამ დაინახა, რომ მხეცები მაგარ რკინის გალიებში ჩაკეტილები არიან, მაშინვე დაიწყო კვნესა: — აი, მე სულ არ მეშინია არც ლომების, არც ვეფხვის, არც ჰანტერის, — ამბობდა ის: — მე, რომ მომცეს კარგი თოფი, წავალ ამ მხეცებზე სანადირობათო.

— ეჰ, მურზილკა, მაგას მაინც ნუ ამბობ! — შესძახა ხიკილით ჩემა-ამისანმა: — კაცით, რა მაძაცია ხარ: — ლომ-მეიხა კი არა, კოლოებისაც კი გეშინია და მათკენ ახ ვერხ-ზე გარბიხარ.

ჯუჯებმა ხიკილი დაიყარეს. მურზილკა კი ხიბრაზისგან გაწითლდა.

— ძე შეშინია? მე? თქვენ თითონა ხარი მშიშრები, — ეკითხა იგი — აი, უეურეთ როგორ გავაბრაზო ეს ლომი.

ამ ხიკვეების შემდეგ მურზილკა მიეიდა გალიასთან და თავისი ჯოხით დაუწყო ლომს გაღიზიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღვრემილი ლომი დადიოდა წინ და უკან; [illegible] რობით ეურადღებას არ აქცევდა მურზილკას, მაგრამ უცბად

გაჯავრდა და ისე მძლავრად დაჭერა თათი გალიის რკინის მოაჯირს, რომ ლერწამივით მოღუნა.

სხვა მხეცებმა რომ გაიგონეს ლომის ღმუილი, დაიწ-ყეს ღრიალი და სირბილი გალიაში.

ვეფხვმა ფართოდ დაიღო პირი და ხარიხებ შუა გამოჭეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი საშინელი თათი ერთ ერთი ჯუჯის დასაჭერად ჰანტერი, კი სისხლით სავსე თვალებით, თავს ახეთქებდა გალიას, თითქოს განთავისუფლება უნდოდა.

ჯუჯები შეშინდნენ, დაიფანტნენ, და იმის მაგივრად, რომ გარედ გამოსულიყვნენ, სწორეთ გაბრაზებულ მხეცების გალიების წინ გაიქცნენ.

ეველა ამის ბრალი მურზილკას ედებოდა: ჰირველად ის გაიქცა ეგირილით:

— მე მომეევით, მეო! აი აქ არის გზა! თორემ ლომები შეგჭამენ!..

ჯუჯები მისდევდნენ მურზილკას და სჭულეტდნენ ერთმანეთს. მირბოდნენ სპილოების, მაიმუნების, თუთიუშების და სირაქლემების წინ და იმათ ეურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ მაშინ დამშვიდნენ როცა ზოოლოგიურ ბაღს კარგად დაბორდნენ.

დღესასწაულები საბავშვო სახლებში.

ეკვენ იცით, ბავშვებო, რომ აქ, თბილისში, თქვენს ახლო, ბავშვებით სავსე სახლებია? ეს ბავშვები—ობლები არიან, ცხოვრობენ იქ უდედ-მამოთ, უდა-ძმებოთ! დედ-მამის მაგიერობას მათ უწევენ ალმზრდელები, და-ძმობას კი—ის ბავშვები, რომელნიც მათთან ერთად ცხოვრობენ ამ საბავშვო სახლებში.

ზოგი სახლებია, სადაც ცხოვრობენ სულ ჰატარა ბავშვები! მათ აქვი თავიანთი ჰატარა კეკმები, ჰატარა მაგიდები, ჰატარა ლოგინები, ამ ლოგინებს თვითონ ალაგებენ.

სხვა ისეთი სახლებიცაა, სადაც ცხოვრობენ უფრო მოზრდილი ბავშვები: ესენი ან ერთმანეთს ასწავლიან წერა-კითხვას, ან საერთო სკოლაში სწავლობენ. არის კიდევ ისეთი სახლი, სადაც ცხოვრობენ და სწავლობენ ერთ-ერთ ბავშვები: ამათ ადამიანის ხმა არ ესმით, ამიტომ არც ლაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი შეუძლიათ. მაგრამ გამოჩნდნენ გულშემატკივარნი, ანუ შვების მოყვარული ხალხი, და ასწავლეს მათ ლაპარაკი, წერა-კითხვა, და ყველაფერი, რასაც სალი ბავშვები სწავლობენ.

არის კიდევ სახლი ბრმა ბავშვებისთვის: იმათ ასწავლიან ანბანს განსაკუთრებით მათთვის გამოგონილ წიგნების საშუალებით. ასოებს ბრმა ბავშვები ამ წიგნებიდან თითების შეხებით სწავლობენ. ამავე სახლში ამ ბრმა ბავშვებს ასწავლიან სხვადასხვა ხელობასაც, რომელიც მათ გამოადგება შემდეგ ლუკმა პურის საშოვნელად.

არის კიდევ სახლი იმ უბედურ ბავშვებისთვის, რომელნიც, უპატრონობის გამო, შეეჩვევნენ ცუდ ხელობას,—მათხოვრობას, ქურდობას, ქუჩა-ქუჩა წანწალს... ამისთანა სახლებში ამ უბედურ ბავშვებს სიყვარულით უვლიან. გარეულილი ბავშვი—ავადმყოფია, ავადმყოფს კი მეტი მფარველობა და მზრუნველობა ესაჭიროება.

მარტო თბილისში ამისთანა ბავშვები ათასამდე შეკრიბეს. საშობაოთ მათ გაუმართეს „ნამვის ხე" ყოველნაირი ტკბილეულობით და საჭმელებით. უნდა გესახათ რა სასიამოვნო სანახავი იყო ამდროს მათი სახე, სიხარულით გაშუქებული.

მოზრდილმა ბავშვებმა გამართეს წარმოდგენა: თვითონ ბავშვებმა წარმოადგინეს ერთ სახლში პატარა პიესა იმ მატყუარა ექიმზე, რომელმაც, ავადმყოფ „თოჯინას" მაგიერ თვითონ გადაყაპა წამალი—მურაბა. ამ წარმოდგენაზე ბავშვები ამბობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ „ნამვის ხის" გარშემო, რომელიც თვითონვე მოერთეს.

მხიარულად იღღესასწაულეს შობა ღღე ერუ-ძუნჯმა ბავ-

შვებმაც, რომელნიც არა თუ მარტო ცეკვავდნენ, არამედ ლექსებსაც ამბობდნენ, და ამით დაამტკიცეს, რომ მათ ისწავლეს ლაპარაკი და ერთმანეთის გაგება. მართალია, მათი ხმა სხვა ბავშვების ხმისაგან განირჩეოდა, მაგრამ ისინი მაინც ლაპარაკობდნენ და არ ანიშნებდნენ ხელით, როგორც აქამდინ სჩადიოდნენ, სანამ ლაპარაკს ისწავლიდნენ.

შობა იდღესასწაულეს ბრმა ბავშვებმაც, მხოლოდ არა „ნამვის სით", რადგან თვალის სინათლე აკლიათ, არამედ მუსიკით. ყველამ იცით, რომ ბრმებს განსაკუთრებით უყვართ მუსიკა-სიმღერა, და ამ დღისთვის მათთან გადაიტანეს ჰიანინო.

ბევრს ამ ბავშვთაგანს ამის მეტად არც „ნამვის ხე" ენახა და არც რომელიმე დღესასწაული. ეს პირველი ბედნიერი დღე იყო მთელ მათ სიცოცხლეში. როგორც ზემოთაც ვთქვით, ერთ-ერთ სახლში მოთავსებულნი არიან ისეთი ბავშვები, რომელნიც აქამდინ ცის ქვეშ ეყარნენ ქუჩაში, უდედმამოთ, უპატრონოთ. ჯერ კიდევ ზაფხულში იმათთვის გამართეს სასადილოები, შემოდგომაზე კი უშოვეს დიდი სახლი და მოათავსეს შიგ საცხოვრებლად ყველაზე უფრო უპატრონო და უბედური ბავშვები. როცა ამ ბავშვებს გამოუცხადეს, რომ მათთვის „ნამვის ხე" გაიმართება, ჯერ არც კი დაიჯერეს და კითხულობდნენ: „როგორ, ჩვენთვის გაიმართება „ნამვის ხე", ნამდვილი „ნამვის ხეო?" ჩვენთვის, „ქუჩის ბავშვებისთვის მართლა გაიმართება მორთული, მოკაზმული „ნამვის ხე", რომელიც ჩვენ გვინახავს მხოლოდ ფანჯრებიდან მდიდრების სახლშიო?!"

ისინი მართლაც ეღირსნენ თავის „ნამვის ხეს". ეწვივნენ ამ დღესასწაულზე სხვა ბავშვებიც, მათზე უფრო ბედნიერნი, დედ-მამიანი, და ჰატარა მასპინძლები მხიარულად ეთამაშებოდნენ იმათ გაჩაღებულ „ნამვის ხის" გარშემო.

ეხლა იმათ იპოვეს თავისი სახლიც, დედ-მამაც და ძმებიც.

ბავშვების მეგობარი.

გამოცანები.

I.

ზურგზე აქვს სახლი
და რქებზე თვალი.

II.

არც მღერის, არც ლაპარაკობს,
მაგრამ ვინც პატრონთან მოვა—
ატყობინებს, არ ღალატობს.

III.

კონკებში გამოხვეული
ბებრუცანა მარტოკა ზის,
ვინც ტანისამოს გ[illegible]ობს
თვალებიდან ცრემლებსა ღვრის.



ამ შვიდ უჯრაში ჩასვით ათი კატა,
ისე რომ თითოში-თითო მოხვდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1.

2.

3.

საქართველოს საპატრიარქოს
თბილისი
ბიბლიოთეკა

4.

5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის რედაქტორობით გამოვიდა და იყიდებიან შემდეგი საბავშვო ჟურნალები და წიგნები.

მცირეწლოვანთათვის

1. „ნაკადული" 1921 წ. № № 1, 2, 3, 4, 5 თითო წიგნი . . . . . 8.000 მ.
2. „ნორჩი ძალა" კრებული . . . . . 10.000 „
3. „სამი ამბავი"—ლექსები შოთ მღვიმელისა . 8.000 „
4. „კოკოროჭინა" დ. დონდუასი . . . . . 5 000 „
5. „ბელა ბეკეკა" „ . . . . . 5 000 „
6. „შემოდგომა—ფერად სურათებიანი წიგნი . 45.000 „
7. „ნაკადული" 1922 წ. № 1 . . . . . 8 000 „

მოზრდილთათვის

8. „ჯეჯილი" 1921 წლ. № 1 . . . . . 10.000 „
9. „თავისუფალ ბავშვთა სიმღერები", ლექსთა კრებული . . . . . 2.000 „
10. ქართ. მოძრავი თამაშობანი—შეკგენილი გ. მერკვილაძის მიერ . . . . . 25 000 „
11. ტროადის ომი—ალ. მიქაბერიძისა . . . . 70.000 „
12. ნოტები—საბავშვო ინტერნაც. სიტყვა-ხმა შეკუბილი—ფოკუნაშვილის მიერ . . 1.000 „
13. „ჯეჯილი" 1922 წ. № 1 . . . . . 10.000 „

მ. საბართი: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5 სახალხო განათლების კომისარიატი, სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის **სალიტერატურო სამხატვრო სექცია**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1922 წელს

გამოვა საუმაწვილო დასურათებული ჟურნალები

მცირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XVII წ.

მოზრდილთათვის „ჯეჯილი“ მე-XXXIII წ.

ჟურნალები გამოდის სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობასთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით.

ხელის მოწერა მიიღება ოქტომბერ ჟურნალზე უოველ თვეურად და ღირს 15 ათასი მანეთი.

სასწავლებლებს დაურიგდებათ უსასყიდლოთ.

მისამართი: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, სახალხო განათლების კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

ნ. დ. ს. ც. თბილისი, 1922 წ. ტირაჟი 3000